წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 3 შაური.    ტელეფონი № 76.    სამშაბათი აგვისტოს 29 1917

# ჩვენი ქვეყანა

| ბაზეთის ფასი: | |
|---|---|
| თვიურათ | 3 მან. |
| ოთხი თვით | 1 თუმანი. |
| ცალკე ნუმერი | 3 შაური. |
| განცხადების ფასი: | |
| პირველ გვერდზე პეტიტით ღირს | 2 აბაზი. |
| უკანასკნელ გვერდზე | 5 შაური. |

ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი-ორათ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღია დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 114    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 114

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

მით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9-დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. **საქართ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა.**
2. ვ. **წერეთელი.** შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი.** 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი.** ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბათომის კომიტეტი

ამით აცხადებს ბათომში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიის ბიურო აგვისტოს 16-დან გადატანილია ახალ ბინაზე: გურიის შესახვევი №6 გოგიტიძის სახლი აქვე არის პარტიის სალექციო დარბაზი. აქვე შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველ გვარი ცნობების მიღება პარტიის ცხოვრებიდან დილის 10-3 საათამდე და საღამოს 6-8-მდე.

დაწესებულებათა და კერძო პირებსაც ვთხოვთ, წერილები ამავე მისამართით გამოგვიგზავნონ.

**ბათომის კომიტეტი.**

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

## ტიტე მარგველაშვილის წიგნი

## ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი

**ფასი ერთი მან.** მთავარი საწყობი წიგნის მაღაზიაში: „მთავრიშვილი და ამხ.“

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ეს არის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

## განცხადება.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ქართული გიმნაზია ამით აცხადებს, რომ წელსახალი **გამოცდები** იწყება სექტემბრის 11-იდან, მისაღები (1 და 2 განყოფილებებში) 16-ს და სწავლა კი დაიწყება 20 ენკენისთვეს.

## ქუთაისის რეალური სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ იქ **თავისუფალია ქართული ენის** შტატის **მასწავლებლის ადგილი**. მსურველთ შეუძლიათ თხოვნით მიმართონ ამავე სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს.

## რუსეთის მდგომარეობა.

აგვისტოს 27-ს რევოლუციას 6 თვე შეუსრულდა. რუსეთი ვერ დღესასწაულობს რევოლუციურ ცხოვრების ნახევარ წლის თავს. მისი ვითარება სასოწარმკვეთია.

მარტის იმედი, მაღალი აღფრთოვანება მწარე სინამდვილემ შთანთქა. რევოლუცია დიდ კრიზისს განიცდის და კატასტროფის წინაშე წარსდგა. რა იყო მთავარი მიზეზი, რევოლუციის კრიზისი რომ გამოიწვია?

აი, კითხვა, რომელიც საყოველთაო ინტერესს იწვევს.

ვერც ერთმა მიმართულების ხალხმა ვერ გამოიჩინა დროის შესაფერი სახელმწიფურ შემოქმედებითი ნიჭი, უნარი. ზომიერების (კადეტების) მმართველობის დროს მილიუკოვები კვლავ ძველი იმპერიალისტურის ზრახვით აღენთენ. ეკონომიურად დაქვეითებულ, ფიზიკურათ დაუძლურებული რუსეთის სრუტეების და სტამბოლის დასაუფლებლათ ეძახოდენ. ლაშქარი, რომელიც მომხდარ რევოლუციით სასწრაფოთ ბედნიერებას ელოდა მდუმარებით და უარყოფით შეხვდა მილიუკოვის მოწოდებას.

ასე აწესრიგებდენ მილიუკოვები საგარეო პოლიტიკას.

შინაურ პოლიტიკაში ბევრი ძნელი კითხვა წამოაყენა დრომ. სოციალური ცხოვრება მთლიანად გარდაქმნას მოითხოვდა. საუკუნოებით დატანჯულ-დამცირებული ერები დრ. მმართველობას რევოლუციის ძვირფას აღთქმის გასანაღდებლათ მიადგენ.

ცივი და წინდაუხედავი იყო პასუხი ზომიერ დრ. გამგებლობისა. სახელმწიფოს ცხოვრებას ძირითად სცვლიდენ, ახალ ფორმებს აწესებდენ, ხოლო ამავე დროს არა მპყრობელ ერებს ეუბნებოდენ: „თქვენი მოძრაობა რევოლუციის სავნებლათ არის მიმართული. დაიცადეთ დამფუძნებელ კრებამდე. მარტის მთავრობამ ეროვნულ კითხვაში აქტივობა არ გამოიჩინა. უარი უკრაინას, მუქარა ფინეთს, დიპლომატობა გერმანელებისგან დაპყრობილ პოლონეთთან.

მილიუკოვმა საქართველოს ეკლესიის თავისუფლებაც კი არ მოისურვა!..

კადეტების მთავრობა სანმოკლე გამოდგა. იგი კოალიციურმა მმართველობამ შესცვალა.

საყურადღებო ამბავი მოხდა. მთავრობაში შევიდენ სოციალისტები მეუმცირესთა და რევოლუციონერთა სახით.

მთელი მსოფლიო რუსეთს აპყრობდა თვალებს. სოციალისტებისგან **არაჩვეულებრივს** მოელოდენ. სამწუხაროთ სოციალისტების გამგებლობის დროს გაიზარდა და გამძვინვარდა ის საერთო კრიზისი, რომელმაც რუსეთი გაჭირვის საზღვარზე მიიყვანა. სოციალისტები არ დაადგენ გარკვეულ გზას. სახელმწიფოს ცხოვრებისთვის გამჭრიახობა ვერ გამოამჟღავნეს. პირველად აუმხედრდენ ბურჟუაზიას, აიძულეს განცალკევებულიყო. შინაური ფინანსები იშლებოდა სასურსათო გაჭირვება ძლიერდებოდა, წარმოება ჩერდებოდა .. არცერთი საშუალება, არცერთი გზა სოციალისტებს არ გამოუნახავთ, რომელსაც შეეძლო მდგომარეობის შესამჩნევად გამოკეთება.

რუსეთის სოციალისტები არა მპყრობელ ერებს უშლიდენ ეროვნულ თვითმოქმედებას და მით რევოლუციის ლოღიკურ სავალ გზას უხვევდნენ. ასეთი სახით ვიდოდა რუსეთის რევოლუცია და თანდათან რთულდებოდა. მეუმრავლესე სოციალ-დემოკრატებმა ივლისის 3—4-ს პეტრეს ქალაქში ალლუმი გამართეს. მათი მიზანი იყო რყევაში მყოფ მმართველ სოციალისტებისათვის სახელმწიფოს საჭე წაერთვათ და პროლეტარიატის დიქტატურა გამოეცხადებიათ. მეუმრავლესენი ბურჟუაზიულ პოლიტიკურ რევოლუციაში სოციალისტურ რევოლუციას ეძებდენ. ივლისში მეუმრავლესენი დამარცხდენ.

კერენსკიმ „საერთო ნდობა მოიპოვა“. გარემოება ჩქარა შეიცვალა. სახელმწიფოს ფინანსურმა კრიზისმა უკიდურესობას მიაღწია. დაიწყო რიგ-რიგი გაფიცვები. მიმოსვლის ჩამოქვეითება, შიმშილი... აქ კი კერენსკიმ და მისმა იდეიურმა თანამშრომლებმა ვერა გააწყვეს რა. დაიწყეს შეერთებაზე ოცნება. ბურჟუაზიას სთხოვეს თანამშრომლობა.

ივნისის 18-ს კერენსკიმ ბრძოლის ველზე შეტევა დაიწყო. ამ დღიდან დადგა საბედისწერო მომენტი. რუსის ლაშქარი ყველგან დამარცხდა. გერმანეთმა დრო იხელთა და მრავალ ადგილას შემოარღვია რუსეთის საზღვარი. აიღო ქ. რიგა და პეტროგრადს ემუქრება.

კერენსკიმ მოსკოვის ბჭობა გამართა, რომელსაც რევოლუციურ ორგანიზაციების და პოლიტიკურ მიმართულების წარმომადგენლები დაესწრენ. მოსკოვის თათბირზე ბევრი ძვირფასი სიტყვა ითქვა, მაგრამ უბედურების თავდასახწევათ საშვალება ვერა გამონახეს რა. ჩვენ ვსთქვით, რომ რუსეთში ვერცერთმა აქტიურათ გამოსულმა მიმართულებამ ვერ შესძლო სახელმწიფური შემოქმედება.

სოციალისტი მართველები თავს იტეხდენ ფინეთის და უკრაინის გამოსვლებზე, ცეცხლს აფრქვევდენ მათ მიმართ, ხოლო ამ დროს დაღუპვისკენ გაქანებულ სახელმწიფოს ვერას შველოდენ. გარეშე მტერი რუსეთს არღვევდა, დაქცევას უპირებდა. ხოლო ამ დროს დრ. მმართველობა კვლავ ძველი უსამართლობის ნაშთთა განმტკიცებას ეწეოდა.

დრ. მმართველობა უსასტიკეს განცდის დღეებში იმ კითხვის გადაჭრას შეუდგა, თუ როგორ შეენარჩუნებია რუსის ექსარხოს მიტროპოლიტისთვის საქართველოში პირველობა. მიტროპოლიტი პლატონი ქართულ ეკლესიის მიმართ შხამს ანთხევს მოსკოვის საეკლესიო ყრილობაზე. ბისმარკმა სთქვა: „რუსეთს თავის ცხოვრებაში შეურყეველი დოგმა აქვს. ქვეყანაც, რომ დაიქცეს, ცეცხლიც მოეკიდოს რუსი მაინც ერთხელ გაკაფულ გზით მიდის“. დღეს ეს სინამდვილით მტკიცდება.

**ირ—დი.**

## დიდებულ მამულიშვილის ხსოვნას.

საქართველოს ისტორია ნათლად მოწმობს, რომ ქართველი ხალხის სვებედი არასოდეს არ ყოფილა პირმცინარი, მხიარული. ბედნიერი და მოსვენებული. ჩვენი მემატიანეები აშკარათ გვიხატავენ, რომ ქართველ ხალხს, განგება და უკუღმართი წუთისოფელი ერთ გაცინებაში ათასჯერ აატირებდა ხოლმე. ყოველივე ეს მართალია, მაგრამ ქართველი ერი დამოუკიდებულობის დაკარგვამდის ოხერი წუთისოფლისაგან მიყენებულ ტირილს ტირილად არ აგდებდა და მას მამაცურად რაინდული გენიოსობით ებრძოდა და ხშირად ტირილს ლხინად აქცევდა ხოლმე. მეტსაც ვიტყვი. საკუთარ მიწა-წყლისათვის დასაცავად გამოწვეული მწუხარება, მწუხარებად არ მიაჩნდა ქართველ ერს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ერთბაშად და მოულოდნელად, სულ სხვა ყაიდაზე, შეიცვალა ქართველი ხალხის შინაური და გარეული ყოფა-ცხოვრება. საუკუნოებით განმტკიცებული და შესისლხორცებული ეროვნული სახე მართვა-გამგეობისა ვერაგმა და ფლიდმა მტერ-მოყვარემ, არც აცივა და არც აცხელა, და შეერთების მეორე დღესვე აღმოფხვრა ქართველი ხალხის სულისა და გულისაგან. ამ საუბედურო მოვლენის სიმწვავე იგრძნო საუკეთესო ქართველობამ, მაგრამ მტერმა ისე მაგრათ ჩაუჭირა მას ხელ-ფეხში მძიმე ხუნდები, რომ გასაქანი არც მარჯვნით მისცა და არც მარცხნით. ძალით ნახნავმა ალმართმა თავისი გაიტანა და ქართველი ერი უკუღმართ და დამღუპველ ახალ წეს-წყობილებას თანდათან შეეჩვია, ასე რომ თავის სანუკვარი ზნე და ჩვეულება ბოლოს თითქმის მთლად დაივიწყა. ცოტა ხანს რომ კიდევ საქმე ასე გაგრძელებულიყო, ქართველ ერს გადაგვარების ულმობელი პროცესი კარის ბჭეში ადგა. ამ უბედურებისაგან ჩვენი ხსნა რჩეულმა ქართველებმა იდვეს თავზე. რასაც რომ თოფზარბაზანი და ორ-პირი ბასრი მახვილი ვერ გააკეთებდა, ის პატარა კალმის წვერმა შესძლო. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარმა იხსნა დაღუპვისაგან ქართველი ერი. აი ამ ხანაში, სხვა რჩეულთა შორის, განგებამ მოგვცა ჩვენ, ჩვენი მოსე წინასწარმეტყველი, ილია ჭავჭავაძის სახელ-წოდებით. მისმა იერიქონის საყვირმა დასძახა ქართველობას: „აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები, მამულო საყვარელო შენ როსლა აყვავდები?“ სალათას ძილში მყოფი ქართველი ერი, ამ უცხო ჰანგზე მღერამ შეაშფოთა, შეაშინა, გონზე მოიყვანა და თავის დაკარგულ წარსულ ცხოვრებაზე საოცნებოდ გაამზადა. რასაკვირველია, ყველა ეს უცებ არ მომხდარა, უცხომტარვალისაგან სათვალთმაქცოთ ნაბოძებ ჩინ-ორდენებს შეჩვეულ ქართველების უდიდეს ნაწილმა ახალ-გაზრდა მგოსნის ასეთი მღერა სიცილათაც არ ყოფნიდა, მაგრამ ჩვენი ილია წინასწარმეტყველი, მაშ რისი წინასწარ მეტყველი და მგოსანი იქნებოდა, თუ ასეთების სიცილსა, სარკაზმასა და მუქარას შეუშინდებოდა. ჩვენმა დიდებულმა მამულიშვილმა არჩეული გზით სვლა გაორკეცებული ენერგიით განაგრძო და მისმა „კაცია ადამიანმა“, „ოთარაანთ ქვრივმა“, „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადმა“ და სხვა მრავალმა ნაწარმოებმა მიძინებული და გადაგვარების გზაზე დამდგარი ქართველობის უმრავლესობა იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ ახალი გზით სიარული მას ქვეყნიერობის ზურგიდან აღმოფხვრის და საუკუნო უფსკრულში გადააგდებს. ამ შეგნებამ ქართველობას პოზიცია გამოაცვლევინა და თვალები ისევ სამხრეთისაკენ, თავის ლამაზ და კეკლუც სამშობლოსაკენ დააბრევინა. აი ამ ტრაგედიაში, ამ პროცესში უნდა ვეძიოთ ღირსება და ფას-დაუდებელი ამაგი ქართველი ერისათვის ილია ჭავჭავაძისა. ასეთი მოამაგე და მოჭირნახულე ადამიანი ჩვენ ღირსეულად არამც თუ ვერ დავაფასეთ, წუთი-სოფელსაც კი უნებურად გამოვასალმეთ, მაგრამ ჩვენმა ასეთმა მოქცევამ კიდევ უფრო აამაღლა და გაადიდა ილიას სახელი კაცობრიობის თვალში. მომავალი ჩვენი თაობა მარტო ამ წამებისათვის დაუდგამს მას ახალს ხელთ უქმნელს ძეგლს და მის სახელს სათაყვანებელად გაიხდის. დღევანდელი ათი წლის გადაცვალების თავი მისი სიკვდილისა ბევრ რასმეს ეუბნება მისგან გამოღვიძებულ საქართველოს და, იმედია, მეორე ათეული მისის გადაცვალების დღისა მგოსნის ნატვრას „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები“,-მთლად შეასრულებს. ღმერთო, ქენი ასე.—

**მ. ქუთათელი.**

## ქართული პრესა.

**კავკასიის ადმინისტრატიული გადამიჯნვა.**

ამ სათაურით გაზ. „საქართველოში“ (იხ. № 188) მოთავსებულია **გ. ვ—ს** წერილი, რომელშიც ავტორი არჩევს ჩვენთვის, ქართველთათვის, ფრიად მნიშვნელოვან პროექტს კავკასიის ადმინისტრატიულ გადამიჯნვის შესახებ.

„საშინაო საქმეთა სამინისტროდან ამიერ-კავკასიის კომიტეტმა მიიღო დამზადებული პროექტი კავკასიის გუბერნიათა გადამიჯნვისა. ეს პროექტი პეტროგრადის საგანგებო კომისიის წევრთა უმრავლესობას მოუწონებია, რომელნიც დამფუძნებელ კრების კანონის შემადგენელ თათბირში მონაწილეობდნენ ქართულ, სომხურ-თათრულ პარტიების სახელით.

პროექტის ავტორი დაშნაკცუტიუნის პარტია ყოფილა...

ამ პროექტით, სამინისტროს რომ მოუწონებია, ამიერ-კავკასიაში იქნება სამი ეროვნული ერთეული: ქართულ-სომხური და თათრული. კერძოდ სომხებისათვის ელისავეტპოლ, ერევან თბილისის გუბერნიებს და ყარსის ოლქს სჭრიან და ახალ გუბერნიას აარსებენ: ალექსანდროპოლისას და განძაკისას. არას ვამბობთ იმაზე ჩვენ, თუ როგორ ეხება ასეთი გადამიჯვნა თათარ-თურქთა ეროვნულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესებს,—ეს მათ უკეთ იციან—ჩვენ კი მოვალენი ვართ მივაქციოთ ქართველი ერის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბუნებრივად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად, კულტურულად და ისტორიულად მთლიანი საქართველოს ტანის დაჭრისა და დასახიჩრების საფრთხე არასოდეს არ ყო-

ფილა ისე ახლო, როგორც დღეს: სარევოლუციო საშინაო სამინისტროს და ევანგულოვების თანამშრომლობით შედგენილი პროექტი, რომ განხორციელდეს, საქართველო დაჰკარგავს თითქმის მთელ ახალქალაქის მაზრას და ბორჩალოს მაზრის ნაწილს.

საქართველოს ნაციონალური ინტერესის დამცველნი არას გზით არ შეურიგდებიან ასეთ ოპერაციებს და ამის ხელის შეწყობა მხოლოდ ისეთ „მოყვრებს“ შეუძლიათ, რომელთაც კავკასიაში ახალი მაკედონიის შექმნა არ აშინებთ!

გუშინწინ სასახლეში პოლიტიკურ პარტიათა საგანგებო თათბირი იყო ამ საგანზე... გადასწყდა ეს საკითხი ამიერკავკასიის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთა საოლქო ყრილობაზე გაირჩეს საბოლოოდ...

ახალქალაქისა და ბორჩალოს მცხოვრებნი, რომელთაც შეუგნიათ საქართველოში ყოფნის აუცილებლობა, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად, მთელ ქართველობასთან ერთად მოვალენი არიან ხმა ამოიღონ და განაცხადონ, რომ ახალქალაქისა და ბორჩალოს ბედი თბილისთან, და არა ალექსანდროპოლთან ან ელისავეტპოლთან არის შეკავშირებული საუკუნოებით“.

* * *

**სწავლა-განათლების საქმე.**

გაზ. „ალიონი‘‘ აღნიშნავს, თუ რა რიგ მივიწყებულია სწავლა განათლების საქმე ეხლანდელ მთავრობის ხელში და რა რიგ სცდილობს განათლების მინისტრი უფრო კადეტების პოზიციის გამაგრებაზე, ვიდრე სწავლა-განათლების საქმის მოწყობასა და განვითარებაზე. შემდეგ გაზეთი ეხება სკოლის ნაციონალიზაციის მდგომარეობას და ამბობს:

,,რევოლუციის დაწყების დღიდან აღიარებული სკოლის ნაციონალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარება, სამწუხაროდ მხოლოდ პრინციპად დარჩა. მუშაობა სწარმოებს, მაგრამ არა აქვს შემოქმედებითი ხასიათი, შინაარსი მისი მშრალია, რადგან ამ მუშაობაში არ არის ჩაქსოვილი ეროვნულ-კულტურული სული. თითოეული ერი ამ საქმეში ავტონომიურად უნდა მუშაობდეს. მან უნდა შემოიკრიბოს ინტელექტუალური ძალები და ამ საკითხის ირგვლივ აამუშაოს თავისი შემოქმედებითი ნიჭი. ასე უნდა მოიქცეს ქართველი ერი.

დროა ჩვენი ხალხის ყველა კულტურული ძალა ამოქმედდეს, ყველა ჩვენი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება ამეტყველდეს და ამუშავდეს ნაციონალიზაციის განსახორციელებლად. ლახანება აღარ შეიძლება. საქმემ და შემოქმედებამ უნდა დაამტკიცოს ჩვენი ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკურ საზოგადოებრივი არსებობა‘‘.

## რევოლუციის ამბები.

**პ. დ. ს.**

**დ ე პ ე შ ე ბ ი**

**კონტრ რევოლუციონერთა ჩხრეკა.**

**იალტა.** აგვისტოს 24. პირველ კლასის სასტუმროებში კონტრრევოლუციურ შეთქმულების გამო მოულოდნელი ჩხრეკა მოხდა.

**იურიდიული ყრილობა.**

**მოსკოვი.** აგვისტოს 23. იურიდიულ ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციის პირველი ნაწილი აღნიშნავს, რომ საჭიროა გადასინჯვა იმ კანონისა, რომელიც მიწის თავისუფლად ყიდვა-გაყიდვას ჰკრძალავს. რეზოლუციის მეორე ნაწილი აცხადებს, რომ მოქალაქის საუფლებო წესი ხელშეუხებელია, რის გამოც ამ სფეროში სხვა და სხვა ორგანიზაციების ჩარევის ნება არ უნდა ჰქონდეთ.

**სოც.-დემოკრატ. პარტიის რეზოლუცია.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 21. (დაგვიანებულია) ორი დღის სჯა-ბაასის შემდეგ, რომელშიაც მენშევიკ-ინტერნაციონალისტების გამოჩენილი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შეერთებულ ყრილობამ წერეთლის მიერ წაყენებული რეზოლუცია მიიღო. რეზოლუცია მთავრობის მხრის დასაჭერად მოუწოდებს.

**სამხედრო ქარხნების დაცვისათვის (კერენსკის ბრძანება).**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 24. ყაზანის სათოფისწამლო ქარხნისა და საწყობის ამ ცოტა ხნის აფეთქება, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა დაცვის საქმეს და თითქმის მთლად არ გადაწვა უზარ-მაზარი ქალაქი, უკანასკნელ ზომების მიღებას მოითხოვს, რომ შემდეგშიც არ გამეორდეს ასეთი კატასტროფული უბედურება თოფის წამლის და ასაფეთქებელ მასალის ქარხნებში და საარტილერიო საწყობებში. ხშირად მუშები და მოსამსახურენი არ ასრულებენ იმ წესებს და ჩვენებებს, რომლებიც დიდი ხნის ცდითა და დაკვირვებით შემუშავდნენ, ხანდისხან საქარხნო კომიტეტები ამყარებენ თავ-თავიანთ წესებს და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა საქარხნო ადმინისტრაცია ვერ უმკლავდება ტეხნიკურ უწესოებებს. ასეთ უწესოებათა გამო მეტად ძნელია სახიფათო მასალებით საქმის წარმოება. ყაზანის ქარხანაში მომხდარ უწესოების გარდა სხვა ქარხნებშიც ქონდა ადგილი უბედურებას. მართალია ისეთი საშინელება არსად გამეორებულა, მაგრამ მსხვერპლი კი მაინც იყო. ასეთი აფეთქება მოხდა სორმოვის მილების დამზადებელ ქარხანაში. ტრიცკში ტყვია წამლის დამზადებელ ქარხნის ლითონთა ჩამოსასხმელ სახელოსნოში ცეცხლი გაჩნდა. იქვე ცეცხლი მოედო საშუშხუნო სახელოსნოს. აფეთქება მოხდა აგრეთვე ოხტინის ასაფეთქებელ მასალის დამამზადებელ ქარხანაში და აგრეთვე სხვაგანაც. ყველა ეს დაწესებულ წესების აუსრულებლობის გამო მოხდა. ასეთ უბედურებას ბოლო უნდა მოეღოს.

ვუბრძანებ ქარხნებისა და საწყობების უფროსებს თვალ-ყური ადევნონ ყოველივე წესების და ინსტრუქციების ყოვლის უუაროდ ასრულებას. ხსენებულ ბრძანებების და ინსტრუქციების დამრღვევლები დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნენ. იმ შემთხვევებში თუ ხსენებული წესები და ინსტრუქციები საკმაო არ აღმოჩნდება საფრთხისაგან თავდაცვისათვის ვუბრძანებ ყველა ქარხნების უფროსებს, რომ დაუყოვნებლივ აცნობენ ამაზე სამხედრო მინისტრის ამხანაგს, რომელსაც ჯარის ტყვის წამლის მიწვდა ევალება. საგარეო და საშინაო დაცვა ქარხნებისა და ცეცხლის მქრობელი რაზმი საქარხნო ადმინისტრაციის ხელში უნდა იყოს.

ხელს აწერს სამხედრო
მინისტრი **ა. კერენსკი.**

**სამხედრო სამინისტროს განმარტებანი.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 23. სამხედრო სამინისტროს პოლიტიკურმა სამართველომ შემდეგი განმარტება გამოსცა: ჯარის ნაწილთა და დაწესებულებათაგან ცალკე მოხალისეთა გზავნა ბრძოლის ასპარეზზე უნდა ხდებოდეს ჯარის უფროსთა თანხმობით. მსურველთ უნდა მიმართონ სათანადო საოლქო შტაბებს.

გარდა ამისა განმარტებაში ნათქვამია: ყველა რევოლუციურ სასამართლოთა განაჩენს სიკვდილით დასჯის შესახებ შეიძლება კომისარმა და ჯარის უფროსმა კონფირმაცია უყოს. დანარჩენი განჩინები ფიცხლავ სისრულეში უნდა მოყვანილ იქნას, თუ თან დართული არა აქვს შუამდგომლობა შეღავათის შესახებ.

**ახალი კომიტეტი.**

**პეტროგრიდი.** აგვისტოს 23. ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი, დაარსდეს საგანგებო კომიტეტი სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად.

**სასცენო მოღვაწეთა კავშირის კონფერენცია.**

**პეტროგრადი.** აგვისტს 24. სასცენო მოღვაწეთა კავშირის კონფერენცია დამთავრდა. კონფერენციამ მოისმინა ტიროვის მოხსენება თეატრების სამხატვრო მხრის გაუმჯობესებისა და პორნოგრაფიასთან ბრძოლის შესახებ. მოხსენება წაიკითხა აგრეთვე გრადოვმა თეატრების ნაციონალიზაციის შესახებ. კონფერენცია ხელოვნების სამინისტროს დაარსების წინააღმდეგია.

**თურქესტანის პურით უზრუნველყოფა.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 24. მეპამბეთა ყრილობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას დროებით მთავრობის წინაშე, რათა თურქესტანი 33 მილიონი ფუთი პურით უზრუნველჰყოს. ყრილობამ დაადგინა, რომ შარშანდელ მოსავლის ბამბა 36 მანეთად უნდა გაიყიდოს.

**სოფ. ზემგორის გადაწვა.**

**ვენსკი.** აგვისტოს 25. წუხელ სოფ. „ზემგორა‘‘ გადაიწვა. ქალაქის სიშორის გამო ცეცხლის მქრობელ რაზმმა დაიგვიანა. დაიწვა სავანმანაწილებლო პუნქტები, მასალების საწყობები, ზამთრის ტანისამოსი და საკერავის მანქანათა სახელოსნო.

**ქალების სამსახურში მიღება.**

**პეტროგრადი.** 25 აგვისტო. დროებითმა მთავრობამ წინადადება მისცა სამხედრო მინისტრს რკინის გზების დამცველადა და სამკურნალო დაწესებულებათა სამსახურში ქალები მიიღოს ყოველგვარ უფლებათა მინიჭებით.

**„სტაროობრიადცების“ ყრილობის რეზოლუცია მიწის საკითხზე.**

**პეტროგრადი.** 25 აგვისტოს „სტარობრიადცების“ ყრილობა დასრულდა. მიწის საკითხში ყრილობამ ასეთი რეზოლუცია მიიღო: ყველა სახელმწიფო, საკაბინეტო სამინისტრო და საეკლესიო მიწები სახელმწიფო სამიწო ფონდს უნდა შეადგენდეს. მათი სახელმწიფოს ხელში გადასვლა უფასოდ მოხდება. ხოლო კერძო მესაკუთრეთა მიწები ფონდს მიერიცხება სამართლიანის შეფასების შემდეგ, ყველა მიწები უნდა გადავიდეს მშრომელთა ხელში და ჩაირიცხოს მათ კერძო საკუთრებათ. მამაკაცთა და ქალების წილი თანასწორია, დამფუძნებელ კრებაზე არჩევნების შესახებ ყრილობამ შესაძლოთ სცნო „სტარობრიადცების“ დამოუკიდებლად გამოსვლა იმ ადგილებში, საცა კი ისინი მჭიდროდ მოსახლეობენ.

**პეტროგრადის მდგომარეობა.**

**პეტროგრადი.** 27 აგვისტო. „იზვ. სოფ. დეპ“ -მოთავსებულია პეტროგრადის საჰაერო დაცვის შტაბის უფროსის შტაბს კაპიტან გოტიჩევის სიტყვები. გოტიჩევს უთქვამს: პეტროგრადს მტრის ჰაერით დაცემის საფრთხეც ელის. მთავარ საშიშოებს წარმოადგენს ჰაეროპლანები და ცეპელინები. ჰაეროპლანებს შეუძლიათ დაუშვებლივ იფრინონ 700 კილომეტრი. ხოლო მტრის უახლოეს ბანაკიდან პეტროგრადამდე მხოლოდ 859 კილომეტრია. გერმანელები ცეპელინების სადგომს მალე რიგაში გადიტანებენ ისინი პეტროგრადიდან უკანვე გაფრენას მოასწრებენ; ვიდრე ჩვენი გემები რიგის ყურეში სდგანან, ცეპელინების იერიში ზღვის მხრივ დასაჯერებელი არაა. ხოლო თუ გერმანელები პსკოვს მიუახლოვდენ აუცილებლად დაიწყება სატახტო ქალაქზე საჰაერო იერიშები. ჩვენი ჰაეროპლანების რიცხვი დღითი დღე იზრდება. ამაში ძლიერ დაგვეხმარენ ინგლისი და საფრანგეთი. ჩვენ ახლა ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვაზე აგებული მოწყობილობა გვაქვს. ჩვენი სადგურები რამდენიმე საათით ადრე გვატყობინებენ მტრის მოახლოვებას. საზვერავებში საზენიტ ზარბაზნები და ტყვის მფრქვეველები მზადაა. მცხოვრებლებს აუხსნით იმ საშუალებებს, რომლითაც მათ თავი უნდა დაიცვან. სახლებში საყვირები აქვთ, რომლითაც ხალხს ვატყობიებთ სახლში შესვლასა და სინათლის დაქრობას. ქალაქს საჩქაროდ სიბნელე მოიცავს. სასანიტრო და ცეცხლის მქრობელი დაწესებულებანი შეთანხმებით იმოქმედებენ. მეტი ყურადღება სამხედრო მასალის მკეთებელ ქარხნების დაცვაზეა მიქცეული. პეტროგრადის დასაცველად ყოველგვარი ზომაა მიღებული. დამცველ ჯარში ჯარისკაცთა შორის სრული თანხმობა სუფევს ეს საქმის რიგიანად დაგვირგვინების თავდებიაო დაუთავებია მოსაუბრეს.

**რუსეთის ოქრო.**

**ბლაგოვეშჩენსკი** 27 აგვისტო. ერთ მისხალ ოქროს ფასმა 214 მანეთამდე აიწია ბანკები ფულს აღარ ღებულობენ. მხარეები წვრილი ფული ქრება, რომელიც ჩინელებს საზღვარ გარედ გააქვთ.

**ლიფლიანდიის გუბერნიის ევაკუაცია**

**პეტროგრადი** 25 აგვისტო. ლიფლიანდიის გუბერნიის კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებს: შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების ყველა დაწესებულება რიგიდან იურიევში გადვიტანეთო.

**სახალხო განათლების მინისტრის განცხადება**

იმ გავრცელებულ ხმების გამო, თითქო სღვთო რჯული სასწავლო საგნებიდან გამორიცხული იყოს სახალხო განათლების მინისტრი ოლდენბურგი აცხადებს. ამაზე ლაპარაკიც კი არა ყოფილაო. სღვთო რჯული რჩება სასწავლო საგანთა რიცხვში, როგორც აქამომდე, 14 ივლისის კანონის მიხედვით, სინდისის თავისუფლების შესახებ, სადაც ნათქვამია: განზრახულია საგანგებო კანონის გამოცემა, რომელიც უფლებას აძლევს სღმთო სჯულის სწავლების სხვა სარწმუნოებაის მიმდევრობის გამო არ მოსურნე პირს, შემოიტანონ წერილობითი განცხადება, რომლის შემდეგ სახმრთო სჯულის უსწავლელობა ასეთებს ერთი კლასიდან მეორეში გადასვლისა თუ, მოწმობის მიღების უფლებას არ უკარგავსო.

მთავარ სადგილ-მამულო კომიტეტის
**მესამე სესიის სხდომა.**

**პეტროგრადი.** 25 აგვისტოს. დაიწყო მთავარ საადგილ-მამულო კომიტეტის მესამე სესიის სხდომა. სხდომის თავმჯდომარე პოსნიკოვმა სიტყვა წარმოსთქვა, დაუხატა კრებას არსებული მდგომარეობის სირთულე და ყველას სთხოვა ამ დიად საქმისათვის შეთანხმება და შეერთებული მუშაობა. მიწის საკითხების მოგვარებაში პოსნიკოვმა საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტთა მუშაობა მოიწონა, ხოლო სასოფლო კომიტეტებზე სთქვა მათი მუშაობა ნაკლებ დამაკმაყოფილებელიაო. პოსნიკოვის შემდეგ მიწადმოქმედების მინისტრმა ჩერნოვმა ილაპარაკა.

**სრულიად რუსეთის სამხედრო ფლოტის ცენტრალ კომიტეტის მოწოდება**

**პეტროგრადი** 25 აგვისტო. სრულიად რუსეთის სამხედრო ფლოტის ცენტრალ კომიტეტმა მოწოდებით მიიართა ბალტიის ფლოს, საცა მოუწოდებს მას აღსდგეს როგორც ერთი კაცი და მედგრად დაიცვას რევოლუციის ბუდე პეტროგრადი. გავცეთ შესაფერი პასუხი მტერს და სამშობლოც ღირსეულად დაგვაფასებსო ნათქვამია მოწოდებაში.

**დროებით მთავრობის დადგენილება.**

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის საჭირო წესების პროექტის დამტკიცებამდე, რომელიც საგანგებო თათბირმა შეიმუშავა, დროებითმა მთავრობამ დაადგინა დაუყონებლივ სისრულეში მოყვანილ იქმნას შემდეგი მუხლები საარჩევნო უბნების შესახებ:

1). ქალაქებში საუბნო დაყოფა დამფ. კრ. არჩევნების წინ ისევე უნდა იყოს, როგორც საქალაქო არჩევნების დროს. ხოლო ,,ვოლოსტები‘‘ უნდა დაიყოს იმდენ უბნებად, რამდენადაც დაყოფილი იყო საერობო არჩევნების დროს. მრავალი მცხოვრებიანი ,,ვოლოსტები‘‘ შეიძლება რამდენიმე საარჩევნო უბნად დაიყოს. მცირე რიცხოვანი უბნები კი შეიძლება შეერთდეს. ქალაქის უბნებად დაყოფის პროექტი სამაზრო და საქალაქო კომისიამ საყოველთაოდ უნდა გამოაცხადოს ათი დღით ადრე სიების შედგენამდე.

სამაზრო კომისიის დაყოფის პროექტზე საჩივრის შეტანა შეიძლება სამაზრო და საქალაქო საარჩევნო კომისიებში, ხუთი დღის განმავლობაში, ოლქის საარჩევნო უბნებათ დაყოფის პროექტის საყოველთაოდ გამოცხადების შემდეგ.

**დროებით მთავრობის სხდომა.**

**პეტროგრადი.** 25 აგვისტო. დასრულდა განხილვა ჩერნოვის პირველი პროექტისა ტყეების გაჩეხვისაგან დაცვის შესახებ; პროექტი ჩერნოვის რედაქციით მიღებულ იქმნა ზოგიერთის შესწორებით, რომელსედაც ჩერნოვი დასთანხმდა.

**მოწოდება ჯარსა და მუშებს.**

**პეტროგრადი.** 26 აგვისტო. იმ ხმების გამო, თითქო 27 აგვისტოს პეტროგრადში დიდი სისხლის ღვრა უნდა მოხდესო, მოწოდებები გამოსცეს პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, პროფესიულ კავშირთა საბჭომა და ქარხნების კომიტეტების მთავარმა საბჭომ. მოწოდება ასეთი შინაარსისა: ჩვენ, მუშათა და ჯარის კაცთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი ვაცხადებთ, რომ ამ ხმებს ავრცელებენ პროვოკატორები და რევოლუციის მტრები; მათ უნდათ ისევ სისხლის ზღვა ნახონ და ამ ზღვაში ჩაარჩონ რევოლუცია. არც ერთი მუშათა ორგანიზაცია, არც ერთი პოლიტიკური, დემოკრატიული პარტია არ მოგიწოდებთ გამოსვლელობისა, დემონსტრაციებისა და შეკრებულობისადმი. ანუ დაფრთხებით, მოქალაქენო! მოგიწოდებთ მოთმინებისაკენ. ამხანაგო ჯარის კაცნო და მუშებო, მუშათა და ჯარის კაცთა ორგანიზაციები რევოლუციის მცველები არიან.

**საეკკლესიო კრებაზე.**

**მოსკოვი.** 25 აგვისტო. საეკკლესიო კრებაზე კავკასიის მიტროპოლიტმა, კავკასიის ექსარხოსმა პლატონმა რიგს გარეშე ილაპარაკა მან სთქვა: საქართველო რუსეთის მართმადიდებელ ეკკლესიას ჩამოშორდა. ის ავტოკეფალურია 12 მარტის შემდეგ. სამმა ეპისკოპოსმა გამომიცხადა, ყოველგვარ უფლებას მოკლებული ხართო. ექსარხოსს ძალა არა აქვს ეკკლესიას მეთაურობდეს. მე ბოიკოტი გამოუცხადე, ბერებს უწყალოდ მოექცნენ. დღეს დეპეშა მივიღე, რომ 23 აგვისტოს ქართველთა ბრბოს ქართველ ეპისკოპოსის ლეონიდეს მეთაურობითა და მილიციის დახმარებით დაუკავებია ექსარხოსის სახლი, დაუბეჭდია ეკკლესია, მოუთხოვია კასის კლიტეები და დაუტყვევებია რამდენიმე საეკლესიო პირი. მან შეატყობინე პროკურორს და დროებით მთავრობის წარმომადგენლებს. სარწმუნოებათა მინისტრის ამხანაგმა კარტაშევმა განაცხადა: მთავრობას ძალიან კარგათ აქვს წარმოდგენილი კავკასიის მართმადიდებელ მცხოვრებთა მდგომარეობა. საქართველოს ავტოკეფალიის განხორციელების გზა, რომელზედაც კავკასიის ექზარხოსი გვეუბნებოდა, არ შეიძლება სწორე გზად ჩაითვალოს. ერთად ერთი გზა საქართველოს ეკკლესიის შესაქმნელად არის შემათანხმებელ კომისიის შედგენა. აღმაშფოთებელ შემთხვევისა გამო სარწმუნოებათა სამინისტრო სრულიად იზიარებს კრების პროტესტს. აუცილებლად საჭიროა ფიცხელი ზომების მიღება თვითნებობის წინააღმდეგ. სამინისტრო მალე შეუდგება კიდეც მოქმედებასო.

**ფარმაცეტთა კრება.**

**პეტროგრადი.** 25 სგვისტო. დღეს გაიხსნა სრულიად რუსეთის ფარმაცეტთა კრება.

## სუხომლინოვის გასამართლება

**პ. დ. ს.**

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**საპოლიციო მოხელის კრემენის ჩვენება.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 24. საპოლიციო დეპარტამენტის მოხელე კრემენი აჩვენებს, რომ მიასოედოვი ცდილობდა მიეღო საიდუმლო ცნობანი საპოლიციო დეპარტამენტიდან და თვით შაფრის გასაღებიც კონტრ-ძიებისა, მაგრამ უარი მიიღო.

**საპოლიციო მოხელის ერანდოკოვის ჩვენება.**

კონტრ-ძიების ბიუროს უფროსი პოლკოვნიკი ერანდოკოვი აჩვენებს, რომ მიასოედოვი ცდილობდა მიეღო საიდუმლო ცნობანი და ოფიციალური ბრძანებაც კი გამომიგზავნა შტაბის უფროსისაგან, რომ გადამეცა ხოლმე მისთვის საბუთები, მაგრამ უარი ვუთხარიო. მაშინ მიასოედოვმა მითხრა რომ სუხომლინოვს უნდა თქვენი გაცნობაო. მე ვინახულე სუხომლინოვი და მან მითხრა, რომ უფროსების დაუკითხავად გადაეცი ხოლმე უსაჭიროესი ცნობანი მიასოედოვს და არც არავის უთხრა ეს ამბავი. თვეში რამდენჯერმე მე ყოველთვის მიმქონდა ცნობები და საბუთები სუხომლინოვთან.

**დროს ძველებურად ზომა.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 24. სათბობის შესახებ საქმეთა საგანგებო კომიტეტის წინადადებით დროებით მთავრობამ დაადგინა, რომ ღვინობისთვის პირველ ღამიდან დროს ზომვა ძველებურად დაიწყონ. 1918 წელში დროს ერთი საათით წინ წაწევა მარტის პირველ ღამედან უნდა დაიწყონ.

**ერანდაკოვის ჩვენება.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 24. მოწმე **ერანდაკოვი** განაგრძობს: სუხომლინოვის დავალებით, როცა ცუდი ხმები გავრცელდა მიასოედოვზე, მოვახდინე გამოძიება პირად დამოკიდებულებით მიასოედოვთან. მე გამოვარკვიე, რომ მიასოედოვთან დადიან ჯაშუში პირები. ეს მოვახსენე სუხომლინოვს, მაგრამ მიასოედოვი რამოდენიმე ხანს სამსახურში დარჩა. კითხულობენ გენერალ **კურლოვის** ჩვენებას: ორჯელ გადავეც სუხომლინოვს მიასოედოვზე ცუდი ცნობები; მაგრამ სუხომლინოვმა მაინც მიიღო ის სამსახურში.

**სუვორინის ჩვენება.**

მოწმე, ,,ვეჩერნოე ვრემიას‘‘ რედაქტორი, **ბორის სუვორინი** ამბობს: როცა ,,ვეჩერნეე ვრემიაში‘‘ გამოცხადდა გუჩკოვის ცნობები მიასოედოვის ჯაშუშობაზე, მიასოედოვი სცდილობდა, თავისი სამართლე დაემტკიცებია მაგრამ საბუთები ვერ წამოაყენა. მე შევხდი მიასოედოვს. უკანასკნელი მომესალმა; როცა მე მივტრიალდი, მან მუშტი ჩამარტყა და შემომეხვია, მაგრამ მე დავძლიე. მან არ იცოდა, საით გაესროლა რევოლვერი. ამ დროს მოახლოვდა კუტლერი და გაუკავა ხელები მიასოედოვს. მე გადავწყვიტე მიასოედოვი დუელში გამომეწვია, მაგრამ ოფიცრებმა სეკუნდანტებმა მიასოედოვი ვერ იცნეს, როგორც დუ-

ელში მონაწილეობის მისაღებად ღირსი პირი. სასამართლოსაგან ეს გამოცხადებული იყო. მიასოედოვმა მიჩივლა ცილისწამებისთვის, მაგრამ სასამართლომ გამამართლა. რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთებში წავიკითხე მიასოედოვის ამაღლებაზე.

### მაკარენკოს ჩვენება

ყოფილი სამხედრო პროკურორი მაკარენკო ამბობს: სამხედრო მინისტრის მონდობილობით მოვახდინე გამოძიება მიასოედოვზე, როცა გაზეთებში მასზე ცუდი ხმები გავრცელდა. გამოირკვა, რომ მიასოედოვს საიდუმლო ცნობების შეტყობის საშუალება არ ქონდა, და გაზეთებში გამომჟღავნებული ცნობები სიმართლეს მოკლებულნი იყვნენ.

### ბელეცკის ჩვენება.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ ყოფილი ბელეცკი ამბობს, რომ მიასოედოვი დიდ ყურადღებას იპყრობდა გერმანელების ოფიციალურ პირებისას, ძმების ფრეიდბერგებისას, რომლებსაც ჯაშუშებათ სთვლიდენ. გამოძიებამ კარგი შედეგი ვერ მოგვცა, რადგან გამომძიებლათ მიასოედოვივით გამცემნი იყვნენ, გროსგუსი და ფრინადი. მიასოედოვი დიდხანს უადგილოთ იყო მიუხედავათ გრაფინია კლეიმიხელის პროტექციისა. მოწმე ძლიერ გაკვირვებული დარჩა, როცა გაიგო, რომ მიასოედოვი სამხედრო სამინისტროში გამწესდა ცუდი ხმების მიუხედავათ.

### ანდრონიკოვის წერილი ყოფილა დედოფალთან.

**პეტროგრადი,** აგვისტოს 25. კითხულობენ წერილს ანდრონიკოვისას ყოფილ დედოფალთან: მამაკაცების დაღუპვის მიზეზათ სულ ხშირათ ქალები არიანო, აქედან დასკვნა გამოყავს, რომ სუხომლინოვი ცოლის სიყვარულის მსხვერპლი შექმნა. რომ დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილება, ყიდის სინიდისს პატიოსანი კაცისას.

მოგზაურობს ქვეყნებში, ღებულობს ფეხის ქირას და იღებს ყოველგვარ ვალებს. სანამ სუხომლინოვისა საზღვარგარეთ ცხოვრობდა, ქმარზე გავლენა შეზღუდული იყო, მაგრამ 1914 წელს ქალი ბრძანებლობს მაღალი ადგილებზე დანიშნენს, მაგ. კურლოვისა, რეინბოტისა. ანდრონიკოვი ახასიათებს სუხომლინოვის ცოლს, როგორც სუსტი ჭკუის ადამიანის რომებმაც უკმაყოფილება გამოიწვია ზამთრის სასახლეში სუხომლიეოვი, როგორც პირდაპირ ადამიანი, რომელიც პირნათლათ ასრულებს თავის მოვალეობის, ვერ გაუმკლავდა იმ ქალის სიყვარულს, რომელიც არ იყო მისი ღირსი. მჟღავნდება ჩვენება პოლოვინკ მიასოედოვისა, რომელსაც სახელმწიფოს ღალატი ბრალდებოდა. ის ამბობს, სტოლიპინის სიკვდილის შემდეგ მიასოედოვ მიღებულ იქნა ჟანდარმების კორპუსში. მიიღო დანიშნულება თუარა მოხსენება გაეკეთებია სუხომლინოვისთვის ჯარში რევოლუციურ მოძრაობისა. წერილობითი განკარგულება სუხომლინოვის მიასოედოვისთვის არ მიუცია, მაგრამ მისცა დაუბეჭდავი კონვერტი, სადაც საიდუმლო ხელშეკრულება იყო მოკავშირე საფრანგეთთან, და უბრძანა მიეცა გენერალური შტაბის უფროსისათვის. თანაც უთხრა რომ მის სიტყვიერ განკარგულებას ანგარიშს გაუწევენ, წერილებითი საბუთიც რომ არ გქონდესო.

## ეროვნული კითხვა.

პ. დ. ს.

დეპეშები.

### პოლონელთა თათბირი კრაკოვში.

**ბერნი.** აგვისტოს 25. კრაკოვში შესდგა თათბირი პოლონელთა კლუბებისა. ლაპარაკი ჰქონდათ უმაღლეს ეროვნულ კომიტეტის მომავალზე. კონსერვატორებს მოუვიდათ კამათი დემოკრატებთან, რომელნიც მოითხოვდნენ პოლონეთის დამოუკიდებლობას და ლოიალ დამოკიდებულებას ავსტრიასთან და სხვა პარტიებთან, რომლებიც მოითხოვდნენ მთლიან პოლონეთის აღდგენას ზღვაში გასავალი გზით.

### ასტრახანის ყაზახობა.

**ნოვო-ჩერკასკი.** აგვისტოს 24. ასტრახანის ყაზახობა თხოულობს დონის ყაზახებთან შეგვაერთეო.

### ჯარის უკრაინიზაცია.

**კიევი.** აგვისტოს 24. უკრაინის ჯარის რადა იტყობინება, რომ ზოგიერთ დივიზიებში, რომელნიც უნდა შევსებულ იქმნენ მარტო უკრაინელებით, ავრცელებენ პროვაკაციულ ხმებს, ვითომც, ამ დივიზიების ყველა ჯარისკაცნი და ოფიცრები, წინააღმდეგ მათი სურვილისა, გადაყვანილნი იქნებიან სხვა ნაწილებში. ჯარის რადა განმარტავს რა, რომ უკრაინიზაცია ის კი არ არის, რომ ძველი ჯარისკაცნი გაეძევოთ ჯარიდან, არამედ მხოლოდ შეავსონ ჯარები უკრაინელებით, მოღალატე აღიარებს ასეთი ხმების გამავრცელებელს, რადგანაც შუღლი და განხეთქილება შეაქვთ მათ რუსთა და უკრაინელთა დემოკრატიაში. რადა მოუწოდებს ჯარის ორგანიზაციებს საჩქაროდ დაარსონ ყველა უკრაინელთა სადივიზიო და საკორპუსო კომიტეტები, რომელნიც ხელს შეუწყობენ რევოლიუციურ დემოკრატიას გამოყოს რეაქციონურ ელემენტებს.

### კათედრები უკრაინის შესწავლისა.

**პეტროგრადი.** აგვისტოს 25. სწავლა—განათლების სამინისტრომ დროებით მთავრობაში საკანონმდებლო წინადადება შეიტანა. მოითხოვენ კიევის უნივერსიტეტში 1917—1918 წლისათვის უკრაინის შესასწავლად 4 კათედრის დაარსებას. არსდება კათედრა უკრაინელების ისტორიისა და ლიტერატურის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და დასავლეთ რუსულ უფლებათა—იურიდიულზე. ყირგიზთა ორდის კომისრად დანიშნულია კიმანოვი, ხოლო კამჩატკისა ლავროვი.

## უცხოეთი.

დეპეშები.

პ. დ. ს.

### გერმანოფილური პროპაგანდა ამერიკაში

**ნიუ იორკი.** აგვისტოს 24. ჩიკაგოში და აგრეთვე სხვა ქალაქებში მთავრობამ ზომები მიიღო სხვა და სხვა ორგანიზაციების წინააღმდეგ რომლებიც დემოკრატიულის ნიღაბით გერმანოფილურ პროპაგანდას ეწეოდნენ.

### გრიმის გასვლა.

**მოსკოვი** 25 აგვისტო. ეროვნულ საბჭოს წევრმა გრიმმა თავი დაანება შვეიცარიის სოციალისტურ პარტიათა აღმასრულებელ კომიტეტის წევრობას, რადგანაც მის პრეზიდიუმში ყოფნას მხოლოდ 18 ხმა უჭერდა მხარს 15-ის წინააღმდეგ.

### მუშაობის განახლება.

**პარიზი 24** აგვისტო.

ვიგო იტყობინება: ფოსტა—ტელეგრაფის მოსამსახურეთა კრებამ დაადგინა განაახლონ მუშაობა მთელს პორტუგალიაში.

### რიბოს კაბინეტის გადადგომა.

**პარიზი.** 25 აგვისტო.

რიბომ პრეზიდენტ პუანკარეს თხოვნა წარუდგინა, სადაც კაბინეტის გადადგომას ითხოვს, პუანკარემ სთხოვა რიბოს, გადადგომის საკითხი გადადოს პალატების პრეზიდენტთა დაბრუნებამდე, მათ რიბოს მოლაპარაკების დაწყება შეეძლოს.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

### რუსეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** აგვისოს 25. რიგის მიმართულებით ზეგევოლდის რაიონში ჩვენ მოწინავეთ და მტრის ცხენოსნებს რამდენიმე შეტაკება ჰქონდათ. ასპარეზის დანარჩენ უბნებში სროლაა.

**რუმინეთის ასპარეზი.** სროლა და მზვერავ რაზმთა მოქმედებაა.

**კავკასიის ასპარეზი.** სროლაა.

**ბალტიის ზღვა.** წარსულ კვირის განმავლობაში მტერი რიგის ყურეში მოქმედებდა. პერნოვის სამხრეთით მტრის ცეპელინებმა გადაიარეს, ამასთან გაინაზს რამდენიმე ყუმბარა ესროლეს. ზარალი არ ყოფილა. აგვისტოს 20 ღამე მტრის წყალქვეშებმა რიგის ყურიდან რიგასა და პერნოვის შუა ნაპირებს აუტეხეს სროლა. მათ 40 ყუმბარამდე იხმარეს. სოფ. კაბლოკთან მოკლულია ქალი, გოგო-და ერთი ქალიც დაჭრილია. დღისით მტრის წყალქვეშამ იერიში მიიტანა ტრანსპორტ „ლინელ"-ზე. მას 20 ყუმბარა ესროლა. ტრანსპორტს 37 მილიმეტრიანი ზარბაზნები ჰქონდა, ბრძოლა დაუწყო წყალქვეშას და უკუაქცია. ტრანსპორტზე დაიჭრა 2. ჩვენი საზარბაზნო ნავები და ნაღმისმტყორცნელები უსტ-დვინსკიდან წამოვიდნენ. რიგის ყურეში მტრის რამდენიმე წყალქვეშის გარდა გემები არ აღმოგვიჩენია. ჩვენი სამხედრო ძალები რიგის ყურეს იცავენ და მტერთან საბრძოლველად მზად არიან.

**მფრინავთა მოქმედება.** აგვისტოს 24. ჩვენი მფრინავები სადგურ ბარანოვიჩს დაესხნენ თავს და 8 ფუთამდე ყუმბარა ჩაყარეს. აგვისტოს 24-ს მტრის მფრინავთა რაზმმა სადგურ ზამერეს რაიონს აუტეხა სროლა.

### საფრანგეთის ასპარეზი.

**პარიზი.** აგვისტოს 24. სერნის რაიონში დიდი საარტილერიო ბრძოლაა. მდ. ენის ჩრდილოეთით ფრონტზე მტერი კონსიბასთან და ლაფფოს წისქვილს აღმოსავლეთით დაგვესხა თავს. თავდასხმა მოვიგერიეთ. ბეყეტის სამხრეთით მარჯვე თავდასხმით ტყვეები წამოვიყვანეთ. შამპანში მენილი ტფოზის უბანში შევიჭრით. მტრის არტილერია დიდ მოქმედებას იჩენა. მაასის ორივე მხარეზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ლოტარინგიაში ლიმეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** გერმანელთა მფრინავებმა დიუნკერკს აუტეხეს სროლა. დაჭრილია რამდენიმე მოქალაქე. ღამე ჩვენმა მფრინავებმა მარვილის ჰაეროდრომს და შალლერანჟის სადგურს დაუშინეს ყუმბარები.

### ინგლისის ბანაკის ცნობა

**ლონდონი.** აგვისტოს 25. ფლებეს აღმოსავლეთით და სენ-ჟიულენის სამხრეთ აღმოსავლეთით წუხელ პატრულების შეტაკება სწარმოებდა.

### ახლო აღმოსავლეთი.

**პარიზი.** აგვისტოს 22. დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა. ვარდარის მარჯვენა მხარეზე საარტილერიო სროლაა.

### იტალიის ასპარეზი

**რომი.** აგვისტოს 23. წუხელ მტრის მფრინავებმა ვენეციას აუტეხეს სროლა. ზარალი არ ყოფილა.

### ამერიკელ გემის დაღუპვა

**ლონდონი.** აგვისტოს 22. კაპშტადტიდან იუწყებიან: ივლისის 28-ს კაპშტადტიდან ნიუიორკში მიმავალი გემი „სიტიოფ-გენს"-ი ჩაიძირა. დაიღუპა 70 კაცი. მიზეზი გემის დაღუპვისა ნაღმის აფეთქება ყოფილა.

### რუსები საგაზაფხულო ომისთვის ემზადებიან.

**მომქმედი ჯარი.** სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ რიგასთან შეტევაში მონაწილეობას იღებდნენ გერმანელთა ის დივიზიებიც, რომლებმაც გაარღვიეს ჩვენი ფრონტი ტარნოპოლთან და შემდეგ საჩქაროდ გადმოყვანილ იქმნენ რიგაში. ცხადია, რომ მტრის ძალა ულეველი არ არის, მაგრამ მას ჰშველის წესიერება, დისციპლინა, შეუდრეკელობა და სიმხნე, ხოლო ყველაზე მეტად კი ვშველით თვით ჩვენა ჩვენი რღვევით და დაქუცმაცებით. ჩვენ აქამდინაც გავათავებდით ომს, ახლა კი, ჯარი რომ დავასუსტეთ, ომი ერთი წლით კიდევ გაგრძელდება. ზამთარში დაგვჭირდება ჯარის ხელახლად აღზრდა რუმინელთა მსგავსად, რათა გაზაფხულზედ ბოლო მოუღოთ მტერსაო.

### შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება ბრძოლის ასპარეზის მდგომარეობის შესახებ.

**პეტროგრადი.** აგვისტოს 24. შინაგან საქმეთა მინისტრმა ავქსენტიევმა სთქვა: „ფრონტის მდგომარეობა მძიმე და საშიშია. მტერმა თავი მოუყარა აქ აუარებელ ზარბაზნებს, რომლებსაც ვერ გაუძლო ჩვენმა ჯარმა და გადრკა, მაგრამ მომეტებული ნაწილი ჯარისა მაინც მხნედ იბრძოდა და იხევს წესიერად. ზოგი ნაწილი თავ დავიწყებამდე იბრძვის. ზარი და შიში ნაადრევია. პეტროგრადს ჯერჯერობით შიში არ მოელის. ამ დღეებში მთავრობა გამოაქვეყნებს მოწოდებას საქმის ნამდვილ მდგომარეობის შესახებ. დაცვის საკითხის გარდა, უდიდესი საქმეა—სასურსათო საქმე. მთავრობის ღონისძიებებში მთავრობა ემყარება დემოკრატიას და ბურჟუაზიას, რომელიც მხარს უჭერს მას. ჭეშმარიტ დემოკრატიად ჩვენ ვსთვლით იმათ, რომელნიც მოჰყვებიან დეპუტატთა საბჭოებს და არა „ბოლშევიკებს", რომლებიც ცალკე გამდგარან მათგან.

### ბალტიის ფლოტი.

**ჰელსინგფორსი.** აგვისტოს 22. „იზ. სოვ. დეპ." ცერელის ასპარეზის მოწინავეთა დეპეშას აქვეყნებს. დეპეშა ფლოტის უფროსს მიმართავს და სთხოვს ცერელის მეციხოვნეთ—აცნობონ კერენსკის, რომ ცერელის ასპარეზი თავის პასუხისმგებლობას ჰგრძნობს და ფიცს სდებს უკანასკნელ ყუმბარამდის არ დასტოვებს ასპარეზებს. „იზვესტია" აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტი რევოლუციური ფლოტი გულგრილად ვერ შეეგებება სამშობლოსა და რევოლუციის დაღუპვას. ცერელელებს „ანდრეი პერვოზვანნი", „რიურიკ"-ი „ოლეგ"-ი და „ბოგატირ"-ი გამოეხმაურნენ. მათ შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: სალამი თქვენდა ძვირფასო ამხანაგებო, იყავით მტკიცედ. დაიხოცენით, მაგრამ მტერს კი ნუ გაახარებთ. ჩვენ თქვენთან ვართ. ბალტიის ფლოტის ცენტრალი კომიტეტი შემდეგი მოწოდებით მიმართავს ფლოტს: „ამხანაგებო, მტერი გვიახლოვდება. ვილჰელმის ჯარი რუსის დემოკრატიის ლოზუნგებს ყურს არ უგდებს ბალტიის ფლოტმა ყოველივე უთანხმოება და კერძო ინტერესები უნდა დაივიწყოს. მეგობრებო, დაუმტკიცეთ ქვეყანას, რომ ბალტიის ფლოტი რუსეთისთვის თავს გასწირავს და გერმანეთის ფლოტის წინაშე კი არ დაიხევს.

**პეტროგრადი.** აგვისტოს 26. ოფიციალი. ბანაკის ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. რიგის რაიონში ცვლილება არ მომხდარა. მტერს თავისი მოწინავე ნაწილები არტილერიითა ჰყავს მომაგრებული. იგი ჩვენი ხაზის გარღვევას ცდილობს. იაკობშტადტის რაიონში მტერი მედგრად მოქმედობს. თვით ქალაქზე ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს: მოკლულია ერთი ექიმი დაჭრილია სათნოების და და სტუდენტი. დანარჩენ ასპარეზზე საგულისხმო არა მომხდარა, რუმინეთის და კავკასიის ასპარეზზე სროლაა.

## ახალი ამბავი.

ქუთაისი.

**უქმის გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, აგვისტოს 31-ს.**

✦ **ილიას პანაშვიდი.** კვირას, აგვისტოს, 27-ს, საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლათ.

✦ **სამხედრო საზეგრო სამმართველოს შესახებ.** დრ. მმართველობამ აგვისტოს 5-ს საზეგრო სამმართველოების შემადგენლობა შემდეგნაირათ გაანაწილა: იმ ადგილებში, სადაც ერობა არ არის, შემოწმებულ კომისიაში (მაზრაში) შედიან: 1. თავმჯდომარე 2. ექიმი სამხედრო 3. მილიციის, მუშათა, გლეხთა, ადგილობრივ მცხოვრებთა საზოგადო ორგანიზაციათა და სამხედრო ნაწილის წარმომადგენლები, იმ ჯარის-კაცთ, რომელთაც მისაღებათ სცნობენ, ხელახლათ ამოწმებს გუბერნიის საზეგრო საკრებულო, რომ კომისიის მიუდგომლობაში და სამართლიანობაში ეჭვი არავის შეეპაროს.

✦ **სახელმწიფო გადასახადების შესახებ.** ქუთაისის გადასახადების გამწერი ინსპექტორი ვინოგრადოვი აცხადებს, რომ იმ პირთ, რომლებზეც შეწერილია შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შეტანა, დრ მმართველობის განკარგულებით ვალდებული არიან ახლავე შეუდგენ გადასახადების ხაზინაში წარდგენას. ვისაც საგადასახადო ფურცელი არ მიუღია, მან უნდა მიმართოს გადასახადების გამწერ ინსპექტორს ოლდენბურგის ქუჩის შესახვევი პოპოვის სახლი. ამ წესის შეუსრულებლობისათვის მცხოვრებნი დაჯარიმებულ იქნებიან.

✦ **რაჭის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის შესაწახი ხარჯი.** გუბერნიის აღმ. კომიტეტს რაჭის აღმასრულებელ კომიტეტისგან მოუვიდა ფურცელი რაჭის აღმ. კომიტეტის ხარჯებისა: მაზრის კომისარს ჯამაგირი 500 მან. მდივანს 240, საქმის მწარმოებელს 180, თარჯიმანს 150, რეგისტრატორს 150, მემანქანეს (რემინგტონზე მომუშავეს) 120, მეორე მწერალს 120, მესამეს 120, დარაჯს 100, წვრიმალი ხარჯები 250 მან.

✦ **რაიონის კომისარიატების ხარჯი.** ამბროლაურის კომისარს 300 მან. წვრიმალი ხარჯი 100 მან. ონის კომისარს 360 მან. წვრიმალი ხარჯები 100 მან. და ონის რაიონის კომისარს 200 მან.

✦ **ფეხსაცმელები მილიციელთათვის** მე-110 სათადარიგო პოლკის კომანდირი ატყობინებს გუბერნიის კომისარს, რომ პოლკის იმ ჯარის კაცთ, რომელნიც სამილიციო რაზმში ირიცხებიან, მისცემს მხოლოთ ნახმარ ფეხსაცმელებს.

✦ **საქონლის ჭირი.** ზუგდიდის აღმ. კომიტეტი გუბერნიის კომისარს ატყობინებს, რომ ზუგდიდის მაზრაში მეტად გაძლიერდა საქონლის ჭირი. საქონლის ჭირმა მუსრი გაავლო მთიელ მცხოვრებთა საქონელს. ზოგიერთი მცხოვრები, რომელიც მხოლოთ საქონლით სცხოვრობდა აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა. აღმ. კომიტეტი თხოულობს, ზუგდიდის მაზრას საჩქაროთ მიაშველონ ორი ბეითალი და საქონლის ჭირთან საბრძოლი წამალი.

✦ **9953 მან. მოთხოვნა.** ლეჩხუმის მაზრის აღმ. კომიტეტი გუბერნიის კომისარს დეპეშით ატყობინებს, რომ ადგილობრივ მილიციისთვის ჯამაგირის მისაცემათ საჭირო არის 9953 მან. მილიციელები სამსახურს სტოვებენ, თუ ფული საჩქაროთ არ იქმნა გაგზავნილი.

✦ **ცნობები ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს.** ზურაბანდის ქალაქის მმართველობა სთხოვს ქუთ. გუბ. სასურს. კომიტეტს ნება დართოს მას ქუთაისის გუბერნიიდან გაიტანოს 5 ვაგონი საკლავი საქონელი.

— შორაპნის აღმ. კომიტეტი იუწყება, რომ იქ ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის სახელზე მოვიდა 8 ვაგონი ფქვილი.

—აბაშის აღმასრულებელი კომიტეტი იტყობინება, რომ იქ უკვე მოაგვარეს ცხენების ყიდვის საქმე (რომელიც ესაჭიროება ქუთ. გუბ. სასურს. კომიტეტს) და ახლა მათ წამოსაყვანათ სჭირია ვაგონი.

—სადგურ ჯუმათიდან იტყობინებიან, რომ იქ სადგურზე ლპება სიმინდი, რადგან საწყობი არ აქვთ.

— სასურსათო სამინისტრო იუწყება, რომ რადგან სასურსათო სამინისტრო განკარგულებაში ყველა ხარჯებისთვის დასაფარავი ფული არ არის, ამიტომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა თვითონ საკუთარის ინიციატივით უნდა მოაგვარონ ადგილობრივ ხარჯების საქმე, შექმნან ადგილობრივათ შემოსავლის წყარო. მცხოვრებნი ვალდებულნი არიან სასურსათო კომიტეტების დავალება დაუყონებლივ შეასრულონ და შენაკვეთი სურსათი საჩქაროთ დაამზადონ.

თბილისიდან ბრავერმანი სთხოვს სასურსათო კომიტეტს, რომ მას ნება დართოს გაიტანოს 400 ფუთი გამხმარი ვაშლი სახელმწიფოს საჭიროებისთვის და წინასწარ შეატყობინოს მას ფასის პირობები.

— სასურსათო სამინისტროს მთავარი რწმუნებული ქუთ. გუბერნ. სასურს. კომიტეტს ეკითხება, საჭიროა თუ არა მისთვის სამი აგრონომი (თანახმად სოფლის ყრილობის მესამე სესიის დადგენილებისა) და თუ საჭიროა რამდენი მიეცემათ მათ თვეში ჯამაგირათ,

— თბილისიდან იუწყებიან, რომ ქუთაისის გუბერნიას სურსათის მხრით ჩრდილოეთ კავკასიის იმედი ნუღარ ექნება, რადგან იქ უკვე აიკრძალა ხორბლის გაზიდვა.

— თბილისიდან საგუბ. სასურსათო კომიტეტს სთხოვენ შეატყობინოს ფუთ გამხმარ მხლის ფასი.

✦ **მოსავლის ნიშნები.** ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს დეპეშით ატყობინებენ **ცაგერიდან:** „მოსავლის პირი სიმინდისა ლობიოს ლეჩხუმის მაზრაში საშუალოა".

✦ **ლაილაშიდან** „რაჭის მაზრაში მოსავალი სიმინდის და ლობიოსი საშუალოზე ნაკლებია".

### პროვინცია.

— **სოფ. უკანეთი.** აგვისტოს 27-ს უკანეთის მაცხოვრის ეკლესიაში დიდძალი ხალხის თანდასწრებით ადგილობრივმა მღვდელმა ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადაიხადა. ამავე დღეს აქ არჩეულ იქმნა ორი დელეგატი საკათალიკოსო დელეგატების ასარჩევად. ერთი არის ანტონ გვანცელაძე და მეორე ეფრემ რუსაძე.

### თბილისი.

— **ილია ჭავჭავაძის** ტრაღიკულად გარდაცვლის 10 წლის თავზე, სამშაბათს, აგვისტოს 29-ს კათალიკოსის მოსაყდრე თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე სწირავს მთაწმინდის ეკლესიაში და შემდეგ პანაშვიდს გარდაიხდის დიდებულ მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის საფლავზე. ამავე დღეს პანაშვიდი იქნება გადახდილი წიწამურში იმ ალაგას, სადაც უგნურების ხელით განიგმირა ილია.

— **ქართული წიგნები.** თბილისის ქართველ მასწავლებელთ განზრახული აქვთ შეადგინონ ურთიერთშორის წრე, რომელიც იკისრებს სკოლების სახელმძღვანელოებისა და საბავშვო და სახალხო წიგნების თარგმნას და შედგენას. წერა-კით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვის საზოგადოება თავის მხრივ იკისრებს ამ წიგნების გამოცემას.

— **შეწირულება.** ზაქარია მეფარიძემ გადასცა წერა-კითხვის საზოგადოების მდივანს 1,500 მან. და სთხოვა, რომ ამ ფულით სამკითხველო დაარსოს სოფ. შუქრუთში (შორაპნის მაზ.), ბიბლიოთეკის შესანახად აღუთქვა მეფარიძემ წლიურად ასი მანეთი.

— **თბილისის პოლიტეხნიკუმში** მიცემულია სულ 550 თხოვნა. მთხოვნელთა უმრავლესობას შეადგენენ ქართველები, შემდეგ სომხები და შემდეგ ებრაელები. რუსები შედარებით ცოტანი არიან. მთხოვნელთა შორის კარგა ბლომად არიან სხვადასხვა მაღალ სასწავლებელთა მოსწავლენი.

— **ახალი სკოლები.** ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ გადასწყვიტა გაიხსნას თბილისში 7 ახალი პირველ დაწყებითი სკოლა.

— **ბანკების ბოიკოტი.** როგორც სავსებით გამოირკვა, თბილისის ზოგიერთ ბანკს გადაუწყვეტიათ ბოიკოტი გამოუცხადონ თბილისის ქალაქის ახალ თვითმართველობას, ე. ი. ფული არ ასესხონ. მაგრამ სხვა ბანკებს აღუთქვამთ ქალაქის გამგეობისათვის, რომ რამდენიც დაგჭირდებათ, იმდენს მოგცემთ ფულსო.

— **ქალთა საეპარქიო სასწავლებელში** ყველა საგნების ქართულად სწავლება წელსვე დაიწყება. სასწავლებლის ადმინისტრაცია იმის ზრუნვაშია, რომ დაცულ იქმნას არა ქართველ მოსწავლეთა ინტერესი, რომელნიც უმცირესობას შეადგენენ.

— **თბილისის ქალთა უმაღლეს კურსების დირექტორს** წინადადება მოუვიდა განათლების სამინისტროდან, რომ იხმაროს ღონისძიება, რომ კურსებზე მიღებულ იქმნან პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები, ქალნი და ვაჟნი, ამის გამო თითოეულ კურსზე გადააჭარბოს დაწესებულ კომპლექტების რიცხვმა.

— **ქართველები და მუსულმანები.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, ამიერ კავკასიის მუშათა, გლეხთა და სალდათთა დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას შემდეგი შინაარსის დეპეშა მოუვიდათ ზაქათალიდან: პროვოკაციული ხმების გასაქარწყლებლად, რომელნიც უთანხმოებას ჰბადებენ ქართველთა და მუსულმანთა შორის ზაქათალის ოლქში და სიღნაღის მაზრაში, ავგისტოს 15-ს ალაზნის ველზე ყრილობა მოხდა სიღნაღის მაზრის, ზაქათალის და დაღესტნის ოლქების მცხოვრებთა წარმომადგენლებისა. ყრილობას 800 კაცი დაესწრო. ყრილობის მონაწილეებმა ერთმანეთს შეჰფიცეს არ დაარღვიონ კეთილ-მეზობლური განწყობილება, მტკიცედ დაიცვან ერთობა, ძმობა და სდევნონ ყოველგვარი პროვოკაციული გამოსვლა, საიდანაც იყვეს ეს მოვლენილი. ყრილობის დადგენილება ცნობოს სარევოლუციო ორგანიზაციებს.

## მიწის გარშემო.

(ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მოწოდება).

სხვა და სხვა ადგილებიდან დრ. მმართველობის ამიერ კავკასიის საგანგებო კომისარიატს ცნობები მოსდის, რომ გლეხები არ უცდიან დამფუძნებელ კრებას და დღესვე თვითონ დამოუკიდებლათ სწყვეტენ მიწის კითხვას: იჩოფენ მამულებს, ბაღებს, ვენახებს და თავის საკუთრებათ აცხადებენ წყლებს. თუმცა ეს მავნე მოვლენა საერთო ხასიათს არ იღებს და ამიერ კავკასიის მცხოვრებნი საცილებით ბეჯითად იცავენ დრ. მმართველობის წესებს; მაგრამ მოსალოდნელია ასეთ თვითნებობას არა სასურველი შედეგი მოყვეს. მიტომ ოფიციალურ და ყველასათვის სავალდებულოთ ვაცხადებთ შემდეგს: სოფლის მცხოვრებთ ვაუწყებთ, რომ მიწის კითხვის საბოლოოთ გადაჭრა შეუძლია მხოლოთ დამფუძნებელ ყრილობას. დამფუძნებელ კრებისთვის წინასწარათ უნდა იქმნას გამორკვეული, თუ სად როგორ-მიწით-ფლობელობა არის და რომელ სოფელში რამდენი მიწა სჭირიათ. ამ მიზნით ამიერ კავკასიაში დაარსებულია საოლქო სამამულო კომიტეტი 1917 წლის ივნისის 21-ს დებულებას მიხედვით.

საოლქო კომიტეტს ყოველ გუბერნიაში, მაზრაში და სოფლის საზოგადოებაში აქვს თავისი განყოფილება ორგანო. ხსენებულ ორგანოს მთავარ დანიშნულებას შეადგენს: 1. სწორ და ნამდვილ ცნობების შეკრება მიწის კითხვის გადასაჭრელათ;

2. აგრარულ ნიადაგზე აღმოცენებულ დავა-უთანხმოების მორიგება მთავრობის დროებითი წესების თანახმათ. თუ აგრარულ ნიადაგზე უთანხმოება გაძლიერდა, მაშინ კითხვას სწყვეტს სამამულო კომიტეტის მიერ დაარსებული შემარიგებელი კამერა. მხოლოთ ამ გზით ე. ი. საქმის ყოველ მხრივ შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება გადასწყდეს ესოდენ ძნელი მიწის კითხვა. დიდი შეცდომა იქნება, ცალკე გუბერნიებმა, მაზრებმა და სოფლებმა რომ განიზრახონ მიწის კითხვის საკუთარ ძალღონით გადაჭრა. ჯერ ერთი რომ ასეთი გზა დრ. მმართველობის მიერ უარყოფილია, და მეორე-ეს დიდი უბედურებას განუმზადებს ჩვენს ქვეყანას. მიწის არსებულ წყობილების გარდაქმნა დამფუძნებელ კრების უფლებას შეადგენს. თვითნებური მოქმედება საერთო რღვევას გამოიწვევს, რის გამო მიწები დაუთესავი დარჩება და დაიწყება შიმშილობა. დროებით მმართველობის ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისარიატი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის მზრუნველობა აბარია, მოუწოდებს ყველა დარგის მცხოვრებთ, არ მოახდინონ სოფლებში აგრარული ექსცესები, არ მიისაკუთრონ სხვისი მამული, აკრძალონ ტყის გაკაფვა და წყლების თავის საკუთრებად გამოცხადება, ერთის სიტყვით, მამულის მფლობელობაში და მამულის სარგებლობაში უცვლელად დაიცვან ის წესი, რომელიც დღემდის არსებობდა. ადგილობრივ მთავრობას უმაღლესათ უფლება მიეცა, სასტიკად დასაჯოს ყველა ის, ვინც ამ წესს დაარღვევს.

**ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ ა. ჩხეკელი**

**ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრები: მ. პაპაჯანოვი, მ. ჯაფაროვი, მ. გუტოპი.**

## თათრული პოლკები.

მოსკოვის მაჰმადიანთა ყრილობაზე ეროვნულ პოლკების საკითხი წამოაყენეს: პრინციპიულად მის წინააღმდეგი არავინ იყო. მუნასიბოვის მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლუცია.

1) მუდმივ ჯარის გაუქმება და მის სახალხო მილიციით შეცვლა.

2) რადგან ჯერჯერობით ჯარის გაუქმება შეუძლებელია — შესდგეს ეროვნული პოლკები.

3) ეხლავ შეუდგეთ თათრულ პოლკების და დივიზიების ცალკე შედგენას.

4) ამ მიზნის განხორციელებას გამოცხადებითი წესით შეუდგეთ, ეს ეცნობოს დროებით მთავრობას.

5) გეგმის შედგენა და ეროვნულ ლაშქრის ნაწილების შესადგენად პროექტის შემუშავება დაევალოს საგანგებო კომისიას, რომელიც მუსულმანთა ცენტრალ სამხედრო საბჭოსთან დაარსდება.

6) მუსულმანთა სათადარიგო ჯარი ფრონტებზე გაგზავნისას ეროვნულ ნაწილებში უნდა დაიგზავნოს.

7) მიღებულ იქმნას ზომები, რომ მთავრობამ ყირიმის თათართა ბატალიონები ცალკე ეროვნულ ნაწილებად გამოაცხადოს და იგი სწორ-უფლებიანი იყოს.

8) სასურველია რუსეთის ერთა კავშირის ცენტრალ ორგანოს თანხმობით თათართა საგანგებო პარტიების დაარსება.

9) ეხლავ გამოეყვნენ მუსულმანი ჯარისკაცები, რომელთაც ფრონტზე გზავნიან და მათგან თათართა საგანგებო პოლკები შეადგინონ.

10) კავკასიაში მუსულმანთა საგანგებო დრუჟინების შედგენას წინააღმდეგობა არავინ გაუწიოს.

11) არავითარ დაბრკოლებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჯარისკაცთა და აფიცრების გაცვლაში ეროვნულ რაზმების შედგენის დროს კავკასიაში, ყირიმში და თურქესტანში.

## კრება

ქუთაისის გუბერნიის, სოხუმის და ბათომის ოლქის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებისა.

კვირას, აგვისტოს 27-ს რეალურ სასწავლებლის შენობის დარბაზში მოხდა სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეების შეერთებული კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ქუთ. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე დავიდოვიჩი. კრებამ დაამტკიცა მოხელეთა კავშირთა კავშირის და საბჭოს წესდება, დააწესა მოხელეთა პროფესიულ კასისთვის გადასახადი (1 მანეთზე ნახევარი კაპ.) და შეუდგა მოხელეთა ნივთიერ მდგომარეობის შესახებ ბჭობას.

ეს კითხვა მეტად რთულად და მწვავეთ წარმოდგა. მოხელეთა ძველ საბჭოსგან მატერიალურ მოთხოვნილებათა მთავრობის წინაშე წარდგენა, ახსნა მათი გაჭირვებისა და შესაფერ შუამდგომლობის აღძვრა დავალებული ჰქონია სასამართლოს ბოქაულს ფხაკაძეს. ფხაკაძემ კრებას აუწყა თავის მოქმედების შინაარსი და ის, თუ რა პასუხი მიიღო მმართველობისგან. ფხაკაძე ყოფილა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტში, ა. ჩხენკელისთვის შეუტყობინებია სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეების აუტანელი პირობები, დეპეშაც გაუგზავნია პრემიერ მინისტრისთვის, მაგრამ ყველა ამას სამწუხაროთ რეალი შედეგი არ მოყოლია. „მთავრობა გვპირდება, ჩვენ ყოფის გაუმჯობესებას, მაგრამ ამ დაპირების ასრულების არა ისმის რა. ჯამაგირები მოუმატეს სახაზინო პალატის, ფოსტა-ტელეგრაფის და რკინის გზის მოსამსახურეთ. ჩვენ ყურადღებას არ გვაქცევენ, დრო კი არ იცდის, ცხოვრება საათობით ძვირდება, ბოლოს ისღა დაგვრჩენია, რომ გაფიცვის საშუალებით მივიქციოთ მთავრობის ყურადღება“-ო სთქვა ფხაკაძემ.

გაიმართა კამათი გაფიცვის შესახებ. მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა ერთხმად მოითხოვდა მოკლე დროში გაფიცვის დაწყებას.

საყურადღებო იყო, რაც ერთმა მოხელემ სთქვა: „ვაჭრები ჩვენ დაგვცინიან, გვეუბნებიან, მოხელეები ხართ, ფული ბევრი გექნებათო, ამავე დროს ბევრი ჩვენგანი თვიურათ იღებს სულ 15—25 მან. ამისთანა დროში როგორ უნდა ვიცხოვროთ ასეთ საფასურით“? გაფიცვის მომხრენი იყვენ: გიორგი დადიანი, ვ. ქორქაშვილი, ვასილევი და სხვანი. გ. დადიანმა განაცხადა, რომ მოხელეთ მეტი ცდა აღარ შეუძლიათ, ახლოვდება სამოსწავლო წელი, ზამთარი. მოხელეთ არ აქვთ არც ტანთსაცმელი, აღარც წიგნების ფული მოსწავლე ბავშვებისთვის და აღარც შეშის ფული. დღეს ჩვენზე არ ზრუნავენ მხოლოთ იმიტომ, რომ კარგათ არ იციან ჩვენი გასაჭირი, გაფიცვით ყველაფერს საკმაოთ გაიგებენ და ზომებსაც მიმართავენო. ამ აზრს მიემხრო ქორქაშვილი. ვასილევმა მოხელეთა ორ ნაწილათ დაყოფა მოითხოვა: საშუალო შეძლების პირთა და ულარიბესთა ნაწილად. ულარიბეს ნაწილს დაუყონებლივ უნდა გამოეცხადებია გაფიცვა. ეს წინადადება არ მიიღეს.

შემდეგ ილაპარაკა ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენელმა და არსებულ კრიტიკულ მომენტისთვის გაფიცვა მავნებლათ ჩასთვალა, კრებას მოუწოდა მშვიდობიან საშუალებათათვის მიმართვა.

სოციალ.-დემ. პარტიის სახელით ვლ. ქუთათელაძემ გაფიცვა მიზანშეუფერებლათ აღიარა და საჭიროთ სცნო, რომ მოხელეებმა კვლავ მიმართონ დრ. მმართველობას, ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რაშიც მას მხარს დაუჭერს და დაეხმარება სოც.-დემ. პარტია და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო. გრ. ლაღიძემ ერთ-ერთ საზ. დაწესებულებაში მოსამსახურეთა სახელით) კრებას მოუწოდა გაფიცვისაკენ და საკუთარ ინტერესების დაცვისკენ. მის წინააღმდეგ ილაპარაკეს მუშათა საბჭოს და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლებმა და აბაშიძემ. მუშათა საბჭოს რწმუნებულმა სთქვა, რომ გაფიცვა ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს პირობებს სასურველ ნაყოფს. მოხელეთა გაფიცვა არსებულ რთულ პირობებს არ შეესაბამება და ამიტომ რეალურ ნაყოფსაც ვერ მოიტანსო.

თავმჯდომარემ წაიკითხა ის დეპეში, რომელიც მინისტრთა თავმჯდომარეს გაუგზავნა წინა დღით კრებამ: „მოხელეთა ნივთიერი მდგომარეობა აუტანელია, ვიწვევთ საერთო კრებას მოსალოდნელია დიდი მღელვარება და ექსცესები, მიიღეთ ზომები გადასდეთ კრედიტი“ თავმჯდომარემ აგრეთვე ყრილობას აუწყა, რომ კრების წინა დღით თათბირმა გაფიცვა უარყო გაფიცვის წინადადებას კენჭი უყარა.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა.**

10 ენკენისთვემდის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა კვლავ უნდა სცადონ მშვიდობიანის გზით თავის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამ საქმეში მათ დახმარება უნდა აღმოუჩინონ სოც.-დემ. პარტიამ და მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ. მოხელეები თხოვნით მიმართავენ ა. ჩხენკელს, ხოლო თუ ის თბილისში არ იქმნა მაშინ კავკასიის საქმეთა პეტროგრადელ კომისარს, სენატორ ნაბოკოვს. ასე იქნება 10 ენკენისთვემდის და, თუ ამ დრომდის ამ გზით დაკმაყოფილება არ მოხდება, მაშინ სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა მოსამსახურენი აცხადებენ ენკენისთვის 11-სა ერთ დღიურ გაფიცვას და ანდობენ თავის კავშირთა კავშირის საბჭოს სასწრაფოთ შეიმუშაოს გაფიცვის გასაგძელებლათ დრო და წესი. კრება დაიხურა ნაშუადღევის საათის 6-ზე.

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ბ. კვირკელია.**

## მოწოდება.

ვინ არ უწყის, რა სამსახურს უწევდენ ასი წლის წინათ ჩვენი ეკლესია და მისი მოძღვარნი ჩვენს ტურფა ქვეყანას — საქართველოს; ვისთვის შეადგენს საიდუმლოებას ის გარემოება, რომ ეკლესია იყო მთავარი მატარებელი სარწმუნოებრივი ეროვნული სულისა და იგი სცდილობდა თანდათანობით, უფრო და უფრო, გაეღვივებია ნაპერწკალი და აენთო ქართველთა გულში ის ცეცხლი ნამდვილ ჭეშმარიტ მამულის შვილის, რომელიც მუდამ მზათ იქნებოდა თავისი თავი სამსხვერპლოზე ზვარაკათ მიეტანა თვისი სამშობლოს კეთილდღეობისა და დაწინაურებისათვის; ვინ არ დაგვეთანხმება იმაში, რომ ეკლესიამ და მხოლოდ მან შესძლო დღემდის მოეტანა და არ მოესპო სრულიად ჩვენი ვინაობა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ 117 წლის განმავლობაში მწარე უღელქვეშ ვიმყოფებოდით და ყოველი მხრივ ჩვენი მტერ-მოყვარენი, საერო და სასულიერო მთავრობანი, სცდილობდენ ჩვენს გადაგვარებას-გარდაცვლას? ასე იყო, თუ ისე, ქართველმა ერმა თვისი ნახევრად გარუსებულ, მაგრამ მაინც ქართული ეკლესიის დახმარებით შესძლო დღემდის მოეტანა ჩვენი ენა, კულტურა და ისტორია, რომელნიც ამაყად გვეუბნებიან, რომ ქართველი ერი, რომელსაც დიდებული წარსული აქვს არ მოისპობა, იგი იარსებებს იმ დრომდის, სანამ ცა და დედამიწა ერთი მეორეს არ შეეჯახებიანო.

დღეს, როდესაც თავისუფლების სიომ დაჰბერა და ყველა ეროვნება შეუდგა თავის თვით მოვლა-პატრონობას, ქართულმა წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიამაც განიძრახა აეგოს და მოეწყოს ნამდვილ დემოკრატიულ ავტონომიურ პრინციპებზე. ამისათვის მან ნაბიჯი ჯერ კიდევ 12 მარტს გადადგა და დღემდის განაგრძობს მუშაობას ახალ წეს-წყობილებისათვის. დღეს ყველამ უწყის, რომ 8 ენკენისთვისათვის გადაწყვეტილია მოწვევა საეკლესიო დამფუძნებელი კრებისა, რომელმაც საბოლოოდ უნდა შეიმუშაოს სახე (სტატუტი) ახალი ეკლესიისა, შეუფარდოს იგი დღევანდელ პირობებსა და ერის მოთხოვნილებათ და მიუჩინოს მას ღირსეული წინამძღოლი (კათალიკოსი). ეს საქმე, რა თქმა უნდა, შრომასთან ერთად დიდს ხარჯებსაც თხოულობს, ვინაიდან იგი გასტანს დაახლოებით სექტემბრის ბოლო რიცხვებამდი ჩვენს მტარვალთაგან გაცარცულს ეკლესიას კი არავითარი საშვალება არ მოებოება ამისთვის საქართველოს ეკლესიის დროებით მართველობის იმერეთის განყოფილება მოგმართავთ თქვენ, რომელთაც შერჩენიათ დღემდის ქართველის სული და გული, სიყვარული ეკლესიისა და მამულისა აღმოგვიჩინოთ ამ ფრიად მნიშვნელოვან სარწმუნოებრივ და ეროვნულ საქმის მოწყობაში ნივთიერი დახმარება. [illegible] დიდის მადლობით იქნება მიღებული და ოქროს ასოებით აღბეჭდილი, როგორც მომავალი თავისუფალი საკათალიკო ეკლესიის კედლებზე, აგრეთვე მომავალ თაობის გულის ფიცარზედაც.

შემოწირულება მიიღო ქ. ქუთაისში სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის იმერეთის განყოფილების სახელზე.

**სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მართველობის იმერეთის გამყოფილება.**

ქ. ქუთაისის.

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — სალამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — სალამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — სალამოს — | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |


**იყიდება** წყლის გასათბობიანი ცინკის

**ვ ა ნ ა**

იკითხეთ გენერლის ქუჩ. ფეიქაროვის სახლი

## ექიმები

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½ — 2 საათ. სალამოს 6 — 8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135.

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, სალამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ექიმი** ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. სალამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და სალამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 **„საქართველო“** 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით — 9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და სალამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**


სტამბა „ჟამობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში